პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება №

26 ნოემბერი, 2025 წელი

გიორგი კიკვაძის, დავით ნიშნიანიძის, შალვა მშვილდაძისა
და დავით დვალისთვის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის
ცნობად მიღების შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების დანართის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-5 და მე-6 პუნქტების, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების: გიორგი კიკვაძის, დავით ნიშნიანიძის, შალვა მშვილდაძისა და დავით დვალის წერილობითი განცხადებებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნის საფუძველზე:

მუხლი 1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ 2025 წლის 30 ოქტომბრიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს: გიორგი კიკვაძეს, დავით ნიშნიანიძეს, შალვა მშვილდაძესა და დავით დვალს პირადი განცხადებით, ვადამდე შეუწყდათ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილება.

(გიორგი კიკვაძის, დავით ნიშნიანიძის, შალვა მშვილდაძისა
და დავით დვალის 2025 წლის 29 ოქტომბრის № 19/45253025-45;
№ 19/45253023-45; № 19/45253024-45; № 19/45253022-45 წერილობითი
განცხადებები და საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის
დასკვნა წინამდებარე განკარგულების დედანს თან ერთვის)

მუხლი 2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2025 წლის 31 ოქტომბრის № 45-45253042 წერილობითი მიმართვის საფუძველზე, № 59 ქალაქ ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილია გიორგი კიკვაძის, დავით ნიშნიანიძის, შალვა მშვილდაძისა და დავით დვალის ადგილმონაცვლეები: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: ლანა ჩიტიძე, თამთა ბაკურაძე, იოსებ კუჭავა და აკაკი გიორგაძე.

(№ 59 ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2025 წლის
3 ნოემბრის № 19/2025 განკარგულება და მასალები ქალაქ ქუთაისის მუნიციპა-
ლიტეტის საკრებულოს წევრების: ლანა ჩიტიძის, თამთა ბაკურაძის, იოსებ
კუჭავასა და აკაკი გიორგაძის შესახებ წინამდებარე განკარგულების
დედანს თან ერთვის)

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ც.პატარიძე
საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული
ერთეულის ხელმძღვანელი-სამდივნო
განყოფილების უფროსი

ჯ. ბიბილეიშვილი
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

გ.სვანიძე
საკრებულოს აპარატის უფროსი

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ჭიღვარია